**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

26/02/2025

MES 0 25 0000209205

გადაწყვეტილება

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 12 თებერვალს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის №208656 სხდომის ოქმის №1 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
იოსელიანი თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქსიმილე
ელექტრონული

დანართი 1. ა დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	უმაღლესი განათლების საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/პირ ობით აკრედიტებული/ საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი და ნომერი	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	საზღვაო ნავიგაცია	ბაკალავრი	ქართული	საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი 1110 საზღვაოსნო მეცნიერება	240	აკრედიტირებული	№194, 07.12.2018 (843977, 26/07/2022)	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38
2	საზღვაო ნავიგაცია	ბაკალავრი	ინგლისური	საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი 1041 ტრანსპორტის მომსახურებები	240	აკრედიტირებული	№514478, 02.06.2021	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38
3	გემის მექანიკა	ბაკალავრი	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში 0716 ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები	240	აკრედიტირებული	№195, 07. 12. 2018	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38
4	გემის მექანიკა	ბაკალავრი	ინგლისური	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში 0716 ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები	240	აკრედიტირებული	№515008, 02.06.2021	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38

5	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	ბაკალავრი	ქართული	ტრანსპორტის ბაკალავრი 0407 ტრანსპორტი	240	აკრედიტირებული	№196, 07.12.2018	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38
6	სატრანსპორტო ლოგისტიკა	მაგისტრატურა	ქართული	ლოგისტიკის მაგისტრი 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება	120	აკრედიტირებული	№61698, 27/12/2024	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38